შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლა-ლიცეუმი
„მწიგნობართუხუცესი“

Ltd Tbilisi Educational
School-lyceum
"MTSIGNOBARTUKHUTSESI"

№05/56

თარიღი: 01.08.2024 წელი

**„სკოლაში მოქმედი ზოგიერთი პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“**

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სკოლის შინაგანაწესის და სკოლის წესდების მე-9 მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სკოლაში მოქმედი პროცესების განხორციელების წესი მითითებული დანართების შესაბამისად:
   - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დანართი N1);
   - მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (დანართი N2);
   - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები (დანართი N3);
   - მშობლებთან ურთიერთობის დებულება (დანართი N4);
   - გასაჩივრების დეტალური პროცედურები (დანართი N5);
   - სკოლაში მიმდინარე პროცესების აღწერის დოკუმენტი (დანართი N6);
   - სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა (დანართი N7);
   - სკოლის ბიბლიოთეკის დებულება (დანართი N8);
   - სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დანართი N9);
   - საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დანართი N10);
   - ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესი (დანართი N11);
   - მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი (დანართი N12);
   - მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (დანართი N13);
   - რემედიაციის წესი (დანართი N14)
2. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისთვის დაევალოს სკოლის აღმასრულებელ დირექტორს ზურაბ ჯორჯიკიას.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**დირექტორი:** **დავით კახნიაშვილი**

საქართველო, თბილისი, 0177
ლეო კვაჭაძის ქ. №12
ტელ: (+995 32) 2 135 135

www.muschool.edu.ge
g.chkondideli@yahoo.com

Tbilisi, Georgia, 0177
12 Leo Kvachadze Str.
Tel: (+995 32) 2 135 135

დამტკიცებულია შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“
დირექტორის 2024 წლის 01 აგვისტოს № 05/56 ბრძანებით

**მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი**

**შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო**

**სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესი“**

2024 წელი

## ზოგადი ინფორმაცია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ ინფორმაციისა/დოკუმენტის ხელმისაწვდომობას და ღიაობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებგვერდსა და ინტერნეტ სივრცეში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლაში მოსწავლის მიღების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა თუ აღდგენის პროცესებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მაგ: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა უნიფორმა, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვ).

## თავი 1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

მუხლი 1. მოსწავლის ჩარიცხვის წესი და პროცედურა

1. სკოლაში ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე, სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და დაინტერესებულ პირს განუმარტავს, რომ:

1.1. სკოლაში პირველ კლასში მოსწავლეები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან;

1. 2. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში და არ უნდა აღემატებოდეს სკოლებში განსაზღვრულ მოსწავლეთა რაოდენობას, რაც განსაზღვრულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

2. სკოლა უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი

მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

3. სკოლა, პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების თაობაზე ბრძანებას ათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სკოლის სოციალურ გვერდზე.

4. სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;

ბ) მოსწავლის ორი ფოტოსურათი (3X4);

გ) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;

ე) ბავშვის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ვ) მშობლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში(ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ზ) კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

თ) ჯანმრთელობის ცნობა.

5. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე.

6. მოსწავლის ჩარიცხვა მოხდება მოსწავლესთან და მის წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე.

7. მოსწავლეს შეიძლება, უარი ეთქვას სკოლაში ჩარიცხვაზე, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სკოლაში მისაღები ადგილების ოდენობას.

8. ადმინისტრაცია ვალდებულია სკოლაში ჩარიცხვისას მოსწავლესა და მის მშობელს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი;

9. დასაშვებია მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა. ამ საკითხს მშობლის განცხადების საფუძველზე წყვეტს დამფუძნებელი/დირექტორი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

მუხლი 2: საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) ჩარიცხვისთვის აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჩარიცხვა, მიუხედავად ასაკისა, მოხდება მაქსიმუმ IX კლასში.

2. თუ მოსწავლეს არ აქვს დაძლეული საბაზო საფეხური, მოსწავლე შესაძლებელია ჩაირიცხოს მულტიგუნდის დასკვნის საფუძველზე;

## თავი 2. სკოლაში მოსწავლეთა მობილობა

მუხლი 3: მოსწავლის მობილობის დაუშვებლობა

1. მობილობა დაუშვებელია:

1.1. კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

1. 2. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, თუ სკოლამ სწავლა დაიწყო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 7[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე (შემდგომში – სასწავლო წლის დაწყების თარიღი) გვიან. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

1. 3. სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

1. 4. მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.

1. 5. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, სკოლის ან/და მოქალაქის მიმართვიანობის შემთხვევაში, მობილობისთვის შეზღუდულ პერიოდში, თანხმობას/უარს გასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ის ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

მუხლი 4: მოსწავლის მობილობის წესი

1. მობილობისთვის, სკოლა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დეტალურად აცნობს საჭირო პროცედურებს, რომლის განხორციელების შემდეგ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას.

2. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის შესაბამისი ბრძანების შესაბამისად მოსწავლის სხვა საგანმანათებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
ბ) მოსწავლის პირადი საქმე / წინა კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) მიმდინარე შეფასება;
დ) ცნობა საგნების მიხედვით გაცდენილი საათების შესახებ;
ე) ბრძანების ასლი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ამორიცხვის შესახებ;
ვ) დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
ზ) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება;
თ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
ი) სსსმ მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობა.

3. იმ შემთხვევაში თუ, სკოლისთვის ცნობილი გახდება, რომ მოსწავლის მობილობასთან დაკავშირებით, მშობლებსა ან/და კანონიერ წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა და აქედან რომელიმე მხარე წინააღმდეგია აღნიშნულის, ამ შემთხვევაში სკოლა არ ადასტურებს მობილობის ელექტრონულ მოთხოვნას, იმ დრომდე სანამ მშობლებს შორის არ დასრულდება სასამართლო დავა და/ან იმ დრომდე სანამ არ მიიღებს ორივე მშობლის წერილობით თანხმობას, აღნიშნულის შესახებ პასუხს აცნობებს ორივე დაინტერესებულ მხარეს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს.

4. სკოლა უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის /ტესტირების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

## თავი 3. კლასისა და საფეხურის დაძლევა

მუხლი 5: კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი და პროცედურა

1. სკოლა წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ, კერძოდ:

1.1. სკოლას უფლება აქვს, დაადგინოს გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი.

1.2. თუ მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა სკოლის მიერ დადგენილი ბარიერი, მაგრამ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

1.3. სკოლას გაწერილი აქვს საგამოცდო ბადე, აღნიშნულის თაობაზე, წინასწარ, გონივრულ ვადაში ინფორმაციას და დეტალებს აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს.

2. სკოლა წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას, რომ სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში (გამოცდა, ორი წლის მანძილზე არ ტარდება ერთსა და იმავე საგანში).

3. კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. ექსტერნი წესით კლასის დაძლევის შემთხვევაში (თუნდაც ერთ საგანში) მოსწავლე კარგავს მედალს ("FLEX" -ის პროგრამის მონაწილის გარდა).

5. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

6. მოსწავლისთვის საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

7. ასევე, საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას საშუალო განათლების ატესტატის აღების უფლებას.

8. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას.

9. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

9.1. სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

9.2. სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

10. სსსმ მოსწავლის მიმართ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები და ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

11. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლა უზრუნველყოფს საგამოცდო მასალის ადაპტირებას – იქმნება ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

## თავი 4. მოსწავლის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 6: მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან

(ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ბრძანება და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. მოსწავლის სტატუსის აღდგენა

7.1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს სკოლას განცხადებით სტატუსის აღდგენის თაობაზე.

7.2. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.

7.4. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

7.5. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8: მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა

1. სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

სკოლა მოსწავლისს სტატუსის შეწყვეტისას მოქმედებს 04/ნ ბრძანებისა და „ზოგადი განათლების კანონის' შესაბამისად.

2. სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

3. სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით გააფრთხილოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტოს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები.

4. სკოლა ვალდებულია მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა წერილობით აცნობოს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

5. ფინანსური დავალიანების საფუძვლით მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

6. სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის

ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში).

## თავი 5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლება. ფორმალური განათლება

მუხლი 9: უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა

1. სკოლა უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მას შემდეგ რაც მიიღებს განცხადებას და დოკუმენტაციას, განუმარტავს, რომ მათ უნდა მიმართონ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (https://eqe.ge/ka/faq/18/show), რომელიც შეისწავლის მოსწავლის საგანმანათლებლო ისტორიას და დაადგენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემასთან შესაბამისობას.

2. პროცესის დასრულებამდე, დაინტერესებული პირი სკოლაში წერს განცხადებას, რომ მოსწავლე დაესწროს საგაკვეთილო პროცესს, ხოლო აღიარების შემდეგ იწერება განცხადება ჩარიცხვის თაობაზე.

3. აღიარების საფუძველზე განისაზღვრება, თუ რომელ კლასში ჩაირიცხება მოსწავლე და რა პირობებით.

მუხლი 10: სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა

1. განათლების მიღმა დარჩენილი მოზარდის ან სწავლის მიტოვების მაღალი რისკის მქონე მოსწავლეების ზოგად განათლებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, სკოლაში, მშობლის/მეურვის მომართვის შემთხვევაში დგინდება ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვი ირიცხება ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში.